

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ.ვანი თავისუფლების N65

26 მარტი 2021 წელი

15:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გია ოჩხიკიძე, კობა მაგნიძე, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2020 წელს დამტკიცებულ ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მოსმენა.

მომხს: ტარიელ ბარამიძე

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსნებელმა კომისიის წევრებს გააცნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2020 წელს დამტკიცებულ ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა ხარვეზები.

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები, ხელშეკრულების ადმინისტრირების ხარვეზები, ავტოპარკის მართვის ხარვეზები.

(ჩამონათვალი ოქმს დანართის სახით თან ერთვის.)

გადაწყვეტეს:

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც მიიღო ცნობის სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის თავმჯდომარე